KA030122700591819

№ 01-409 **18 / იანვარი / 2019 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის
დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს
უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის ხათუნა ჩაჩავას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 28-30 იანვარს, ქ. მინსკში, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ორგანიზებით დაგეგმილია ქართულ-აფხაზური შეხვედრა, სადაც განსახილველ საკითხთა შორის იქნება აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის „ც" ჰეპატიტის ელიმინაციისა და პრევენციის პროგრამის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნება ჯანდაცვის სფეროში სხვა მიმართულებით თანამშრომლობის საკითხებიც . შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი ვართ მე - ხათუნა ჩაჩავა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი და ნინო ვარდია- ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური ნორმა) ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

გთხოვთ, უზრუნველყოთ მივლინებასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი,
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხათუნა ჩაჩავა